

# სუფთა ბახეომ

ჩვენი არჩევანია!

საქართველოს მუნიციპალიტეტის მცველეობრივი კავშირი „ორქისი”, პერიოდული გამოცემა №5, 2017 წელი

საქართველო-ნარჩენების მართვა და  
ასოცირების ზასახებ გათაცემების ვალდებულებები

გვ.3





## საქართველო-ნარჩენების მართვა და ასოცირების შესახებ შეთანხმების ვალიგულებები

### მოკლე მიმოხილვა შესახებ

მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვა მზარდ გარემოსდაცვით და ფინანსურ პრობლემას წარმოადგენს ყველა განვითარებად ქვეყანაში, მათ შორის საქართველოშიც.

ნარჩენების მართვის სფეროში მნიშვნელოვანი ძვრები დაიწყო, 2014 წლიდან, როდესაც საქართველომ ხელი მოაწერა ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმებას (AA).

### 1. AA და საქართველოს ვალიგულებები

ხელშეკრულების შესაბამისად, ნარჩენების მართვის სექტორში ქვეყანამ აიღო ვალდებულება დათქმულ ვადებში შეესრულებინ აევროპარლამენტის 2008 წლის 19 ნოემბრის ევრო დირექტივების და ევრო საბჭოს 2008/98/ΕU „ნარჩენების შესახებ“ დირექტივის, 1999/31/ΕU „ნაგავსაყრელების შესახებ“ (EC N 1882/2003 რეგულაციით შეტანილი ცვლილებების შესაბამისად) დირექტივის და 2006 წლის 15 მარტის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2006/21/ΕU „მოპოვებითი მრეწველობიდან წარმოქმნილი ნარჩენების მართვის შესახებ“ დირექტივის კონკრეტული მუხლები .

აღსანიშნავია, რომ AA შეთანხმების დოკუმენტით, თითოეულ დირექტივაზე, პირველ რიგში მოთხოვნილია ეროვნული კანონმდებლობის მიღება და კომპეტენტური ორგანო(ები)ს განსაზღვრა.

ნარჩენების მართვის სფეროში, ეროვნულ კომპეტენტური ორგანოდ განისაზღვრა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო, რომლის კომპეტენციას წარმოადგენს ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება; ასევე, კანონმდებლობის, ეროვნული სტრატეგიებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავება, ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული სახელმწიფო კონტროლის განხორციელება.

### 1.1 ღირებულებების აღნირა

2008 წლის 19 ნოემბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2008/98/ΕU ნარჩენების შესახებ დირექტივის მთავარი მიზანია ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული ნებისმიერი საქმიანობა განხორციელდეს ადამიანის ჯანმრთელობისა და გარემოსთვის საფრთხის შექმნის გარეშე. დირექტივაში მოცემულია ტერმინთა განმარტებები, ნარჩენების მართვის პოლიტიკის და კანონმდებლობის საფუძველი, 5 საფეხურიანი მართვის იერარქია, ასევე განმარტებულია ნარჩენების მართვის პრინციპები.

დირექტივა ყველა მონაწილე ქვეყანას ავალდებულებს შეიმუშაოს ნარჩენების მართვის გეგმები, შემოილოს ნებართვები ნარჩენების განთავსების, ან აღდგენის ოპერაციების

განხორციელებაზე, მოახდინოს ნარჩენების მონიტორინგი და რეგისტრაცია. დირექტივაში განმარტებული ერთ-ერთი პრინციპი „დამაბინძურებელი იხდის“ ავალდებულებს ნარჩენების ნარმომქმნელს, ან მფლობელს გაიღოს ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული ხარჯები.

**დირექტივა 1999/31/EC ნაგავსაყრელების შესახებ, (ჩ) 1882/2003 რეგულაციით შეტანილი ცვლილებების შესაბამისად განმარტავს ნარჩენების სხვადასხვა კატეგორიებს და მათი გან-თავსების ოპერაციებს. დირექტივას შემოაქვს ნაგავსაყრელების სამი კატეგორია: სახიფათო ნარჩენების, არასახიფათო ნარჩენებისა და ინერტული ნარჩენების ნაგავსაყრელი.**

დირექტივით განსაზღვრულია ნაგავსაყრელების მშენებლობის, ოპერირებისა და შემდგომი მოვლის ვალდებულებები. აგრეთვე, მოთხოვნილია ნაგავსაყრელზე განსათავსებელი ნარჩე-ნების რაოდენობის შემცირება სეპარაციის, გადამუშავებისა და მეორადი გამოყენების გზით.

AA მოთხოვნების მიხედვით საქართველომ ვალდებულება აიღო, განსაზღვრულ ვადებში ეტაპობრივად დაუახლოოს თავისი კანონმდებლობა ევროკავშირის კანონმდებლობას.

## 1.2 AA და ნარჩენების მართვის საქმორშო

### გაცემის მიზანი და მიზანი

„ნარჩენების შესახებ“ 2008/98/EC და N 1999/31/EC „ნაგავსაყრელების შესახებ“ დირექტივებით ქვეყნის მიერ აღებული ვალდებულებების შესასრულებლად მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი გახლდათ ნარჩენების მართვის კოდექსისა (ძალაშია 2015 წლის 15 იანვრიდან) და თანმხლები კანონქვემდებარე აქტების დირექტივების შესაბამისად შემუშავება და მიღება. ასევე, 2016 წელს მთავრობის მიერ დამტკიცებული იქნა „ნარჩენების მართვის ეროვნული სტრატეგია (2016-2030)“ და „ნარჩენების მართვის ეროვნული სამოქმედო გეგმა 2016-2020“.

ნარჩენების მართვის კოდექსით განისაზღვრა: ნარჩენების მართვა იერარქიის შესაბამისად, რომელიც მოიცავს ნარჩენების პრევერნციას, ხელმეორედ გამოყენებას, რეციკილირებას (გადამუშავება. მაგალითად, პლასტიკიდან ისევ პლასტიკის პროდუქციის მიღება, მაკულა-ტურიდან ქაღალდის მიღება და ა.შ.), ენერგიის აღდგენას (მაგალითად, ნარჩენების წვის შედე-გად მიღებული სითბოს გამოყენება და ა.შ.) და, ბოლოს, რაც დარჩება (ნარჩენის რესურსად გამოყენების შემდეგ) ნარჩენების ნაგავსაყრელზე უსაფრთხოდ განთავსებას. განისაზღვრა ძირითადი პრინციპები, ნაგავსაყრელების კატეგორიები და მოთხოვნები, რომლებიც უნდა დაკმაყოფილდეს, კერძოდ: ნაგავსაყრელების ოპერირება/მუშაობა ევროსტანდარტების შე-საბამისად; სახელმწიფო უნიკებების კომპეტენციები და ზოგადი ვალდებულებები; ასევე, გამკაცრდა სანქციები/ჯარიმები კანონის დარღვევაზე: მაგალითად, 2 კე ნარჩენით გარემოს დანაგვიანებაზე დაწესდა ჯარიმა 80 ლარის ოდენობით, მანქანიდან იმავე რაოდენობის ნარ-ჩენის გადმოგდება – 130 ლარი და ა.შ.

ნარჩენების მართვის კოდექსმა შემოიტანა „მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულება“ (მგვ). კანონის მიხედვით ისეთი პროდუქტის მწარმოებლის და იმპორტიორის-პროდუქტის პა-ზარზე განმათავსებლის, რომელიც შემდგომში სპეციფიკური ნარჩენი ხდება ვალდებულებაა გამოყენებული პროდუქციის (ნარჩენის) შეგროვება, სეპარაცია და დამუშავება მათი შემდ-გომი აღდგენის მიზნით (ზოგიერთი საბაზისო სავალდებულო მოთხოვნა ძალაში შედის 2019 წლიდან). მგვ პრინციპის ნარმატებისთვის აუცილებელია ვალდებულებებისა და ნამახალ-ისებელი ზომების კომბინაცია და ეტაპობრივი განხორციელება. და, რადგან მგვ ძირითადად ორიენტირებულია ბატარებზე, ხმარებიდან ამოღებული სატრანსპორტო საშუალებებზე, ზეთებზე, შესაფუთი მასალებსა და ელექტრონული საქონლის ნარჩენებზე, სტრატეგიით გან-ისაზღვრა შემდეგი მისაღწევი მიზანი:

	2020 წლისთვის	2025 წლისთვის	2030 წლისთვის
ბატარეები	20%	50%	80%
ზეთები	50%	75%	90%
შესაფუტი მასალები	40%	75%	90%
ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობა	20%	50%	80%
საბურავები	50%	70%	90%
აკუმულატორები	60%	80%	90%
ხმარებიდან ამოღებული სატრანსპორტო საშუალებები	20%	50%	80%

„ნარჩენების მართვის ეროვნული სტრატეგიისა 2016-2030 წწ.“ და ნარჩენების მართვის ეროვნული სამოქმედო გეგმის 2016-2020“ შესაბამისად ნარჩენების მართვის სექტორში ქვეყნის სტრატეგიული ხედვა შემდეგია: „საქართველო ისწრაფვის გახდეს ნარჩენების პრევენციასა და რეციკლირებაზე ორიენტირებული ქვეყანა“.

ამასთან, სტრატეგიით განისაზღვრა ქაღალდის, მინის, მეტალისა და პლასტიკის რეციკლირების შემდეგი მინიმალური მაჩვენებლების მიღწევა:

	2020 წლისთვის	2025 წლისთვის	2030 წლისთვის
ქაღალდი	30%	50 %	80%
მინა	20%	50%	80%
მეტალი	70%	80%	90%
პლასტიკი	30%	50%	80%



## 1.3 პასუხისმგებელი უნივერსიტეტი

ნარჩენების მართვის სექტორში პასუხისმგებლობას გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან ერთად, თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში, სხვა უწყებებიც ინანილებენ. კერძოდ: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო - ნაგავ-საყრელების მშენებლობის ნებართვების გამცემი ორგანო. ნარჩენების ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული მოთხოვნების შემუშავების პასუხისმგებლობა.

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო – ნარჩენების ტრანსსასაზღვრო გადაზიდვის დარეგულირება გარემოს დაცვის სამინისტროსთან ერთად.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს კომპეტენციაა სამედიცინო ნარჩენების მართვის დარეგულირება, შესაბამისი კანონმდებლობის შემუშავება და კონტროლი.

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს კომპეტენციად განისაზღვრა, გარემოს დაცვის სამინისტროსთან ერთად, ცხოველური ნარჩენების მართვა და შესაბამისი კანონმდებლობის შემუშავება.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო პასუხისმგებელია არასახიფათო ნარჩენების ნაგავსაყრელების მოწყობაზე, მართვასა და დახურვაზე, ასევე, ნარჩენების გადამტვირთავი სადგურების მოწყობასა და მართვაზე. აღნიშნული კომპეტენციის განხორციელება წარმოადგენს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის“ (SWMCG) პასუხისმგებლობას.

საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვაში ძირითადი როლი და პასუხისმგებლობა ეკისრებათ ადგილობრივ მუნიციპალიტეტებს. ისინი ვალდებული არიან მიაწოდონ დასუფთავების სერვისი მუნიციპალიტეტის მოსახლეობას (დადგან ნაგვის კონტეინერები), მოაგროვონ კონტეინერებში არსებული ნარჩენები, დაასუფთაონ მუნიციპალიტეტის ტერიტორია, მიიტანონ ნარჩენები ნაგავსაყრელამდე (უზრუნველყონ ნარჩენების ტრანსპორტირება). გარემოს ნარჩენებით დანაგვიანებაზე სანქციების აღსრულებაზე პასუხისმგებლობას ინანილებს ადგილობრივი ზედამხედველობის სამსახური საპატრულო პოლიციასა და გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტთან ერთად.

AA შესაბამისად, ნარჩენების მართვის კოდექსით ადგილობრივი მუნიციპალიტეტებს განესაზღვრათ მუნიციპალური ნარჩენების მართვის ხუთწლიანი გეგმის შემუშავება 2017 წლის 31 დეკემბრამდე. აღსანიშნავია, რომ 2019 წლიდან მუნიციპალიტეტებისათვის სავალდებულოა ნარჩენების წყაროზე (წარმოქმნის ადგილზე, მაგალითად, სახლებში, ოფისებში და ა.შ.) სეპარაციის სისტემის დანერგვა, მათ შორის, თუ შესაძლებელია, სახიფათო მუნიციპალური ნარჩენების ცალკე შეგროვების უზრუნველყოფა.

ამდენად, დღესათვის ნარჩენების მართვის სექტორში მოქმედი კანონმდებლობა და სტრატეგიული დოკუმენტები შემუშავებულია ევროკავშირი-საქართველოს ასოცირების შესახებ შეთანხმებით გათვალისწინებული დირექტივების მოთხოვნების შესაბამისად.

აღსანიშნავია, რომ AA შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებაში მნიშვნელოვანი როლი ეკისრება მოსახლეობას. ერთი მხრივ, მოსახლეობა წარმოადგენს ნარჩენების წარმოქმნელს და მოქმედი კანონმდებლობის შემსრულებელს. მეორე მხრივ, მნიშვნელოვანია მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული საკითხების დაგეგმვასა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მოსახლეობის ჩართულობა. რისი უზრუნველყოფაც წარმოადგენს ადგილობრივი თვითმართველობების ვალდებულებას.

აღნიშნული მიმართულებით მნიშვნელოვანია არასამთავრობო ორგანიზაციების, შესაბამისი სახელმწიფო უწყებებისა და მასმედიის ჩართულობით, საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების ღონისძიებების განხორციელება.

AA მოთხოვნების შესრულებას ექნება, როგორც მოკლევადიანი ასევე გრძელვადიანი ეკონომიკური, გარემოსდაცვითი, სოციალური და ჯანმრთელობის სარგებელი. ევროდირექტივების შესაბამისად ნაგავსაყრელების მშენებლობა და ოპერირება უზრუნველყოფს:

- არასახიფათო ნარჩენების ნაგავსაყრელებზე შემოსული მუნიციპალური ნარჩენის აღრიცხვას, კონტროლს, მონიტორინგს და უსაფრთხოდ განთავსებას;
- ნაგავსაყრელისგან ზედაპირული წყლის (მდინარეების, ტბები, ზღვა) და მიწისქვემა წყლის დაბინძურების პრევენციას/თავიდან აცილებას;
- ნარჩენების შესაძლო ყველა ტიპის წვის პრევენციას და შესაბამისად ნაგავსაყრელების მიმდებარედ გარემოს დაბინძურების (ჰაერში ემისიების) და ხანძრების გავრცელების საფრთხის თავიდან აცილებას;
- ნაგავსაყრელების მიმდებარედ მცხოვრები მოსახლეობის ჯანმრთელობაზე გარემოს დაბინძურებით გამოწვეული უარყოფითი ზემოქმედების რისკის შემცირებას;
- მოსახლეობის დასაქმებას ნაგავსაყრელებისა და სატრანსფერო სადგურების მართვის სისტემაში;
- უკონტროლოდ დაყრილი მუნიციპალური ნარჩენებით დაბინძურებული ტერიტორიების შემცირებას და შესაბამისად მოსახლეობისა და ტურისტებისათვის საცხოვრებელი და დასასვენებელი პირობების მნიშვნელოვნად გაუმჯობესებას;
- ნარჩენების წყაროზე სეპარაციის პრაქტიკის დანერგვით-ბიოდეგრადირებადი (ორგანული ნარჩენების საოჯახო პირობებში მწვანე ნარჩენი, საჭმლის ნარჩენი) ნარჩენების ცალკე შეგროვებითა და კომპოსტირებით განხორციელდება არამარტო ნარჩენების რაოდენობის შემცირება, არამედ კომპოსტის გამოყენება სასუქად და შესაბამისად მოსახლეობის მიერ სასუქზე ხარჯების დაზოგვა;
- მგვ დანერგვა ხელს შეუწყობს რესურსდამზოგავი ეკონომიკის განვითარებასა და ნარჩენების მართვის იერარქიის შესაბამისად ქვეყანაში ნარჩენების მართვას.

AA ხელშეკრულების რეალიზაციით შესაძლებელი გახდება მყარი ნარჩენების მართვის სფეროში თანამედროვე, წარმატებული ტექნოლოგიების დანერგვა ქვეყნის მასშტაბით, ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმოების შესაძლებლობების გაძლიერება და ნარჩენების რეციკლირების სექტორში მოსახლეობის დასაქმება.



## 2. არსებული მდგრადარაობა

დღეისათვის, ქვეყანაში ქალაქებისა და მუნიციპალიტეტების მიხედვით ნარჩენების მართვა განსხვავებულ სტურქტურას ექვემდებარება. თბილისში ადგილობრივი თვითმართველობის მიერ საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვა (ტერიტორიის დასუფთავება, ნარჩენების ტრანსპორტირება, ნაგავსაყრელის მართვა და ნარჩენების დაყრაზე სანქციების აღსრულება) შპს „თბილსერვის ჯგუფის“ კომპეტენციას წარმოადგენს. რეგიონების შემთხვევაში, ნარჩენების მართვის პროცესზე პასუხისმგებლობას ინანილებენ მუნიციპალიტეტები და შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“ (ნაგავსაყრელების მართვა), ხოლო აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში – შპს „სანდასუფთავება“ და მუნიციპალიტეტები.

შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“ იმართება საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ და შეიქმნა 2012 წელს 100%-იანი წილის სახელმწიფო მფლობელობით. კომპანიამ, თავისი იურისდიქციის ფარგლებში, საქართველოს ტერიტორიაზე დაიწყო არსებული მუნიციპალური ნაგავსაყრელების მოწესრიგება და დღეისათვის მართავს არსებული 56 მუნიციპალური ნაგავსაყრელიდან 53 ნაგავსაყრელს.

### 2.1 საყოფაცხოვრებო ნარჩენების შემთხვევა

ნარჩენების მართვის კოდექსის თანახმად, როგორც უკვე აღინიშნა, საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვება და ნაგავსაყრელამდე ტრანსპორტირება მუნიციპალიტეტების პასუხისმგებლობას წარმოადგენს. დღევანდელი მდგომარეობით ქვეყანაში დაახლოებით 900 000 ტონა საყოფაცხოვრებო ნარჩენი წარმოიქმნება, საიდანაც დაახლოებით 700 ათასი ტონა განთავსდება ოფიციალურ ნაგავსაყრელებზე.

საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვება ძირითადად ხდება ქალაქებში, რაიონულ ცენტრებსა და საქართველოს ზოგ დასახლებაში შემდეგი მეთოდებით:

- ლითონის კონტეინერების სისტემა. კონტეინერები განთავსებულია ქუჩებში და შენობებთან ახლოს (სურათი 2); ნაწილი მოძველებულია, დიდი ნაწილი შეძენილი იქნა სამთავრობო ძალისხმევით EBRD-ის ფინანსური მხარდაჭერის ფარგლებში ნაგავმზიდ მანქანებთან ერთად, თუმცა მათი რაოდენობა არ არის საკმარისი დასუფთავების სერვისის უზრუნველსაყოფათ. ამასთან, პრობლემას წარმოადგენს კონტეინერებში ცეცხლის გაჩერის ხშირი შემთხვევები; ამდენად, მათი ჩანაცვლება პლასტიკის კონტეინერებით დღეისათვის არა არის მიზანშეწონილი;
- ბუნკერების სისტემა კორპუსებში; ასეთი ბუნკერები არა-სტანდარტულია და არ შეესაბამება სანიტარულ მოთხოვნებს (არ ირეცხება, არ ხდება დეზინფექცია, რაც გულისხმობს მდრღნელების და მწერების არსებობას); მათი დაცლა არ ხდება ავტომატურად; დაცლის სიხშირე დაბალია და, შესაბამისად, არაეფექტურია. ბუნკერებს, ზოგჯერ, გარს აკრავს აზბესტი, მაგალითად, ქალაქ რუსთავში (სურათი 3);
- „ზარის სისტემა“ – ჩამოვლით შეგროვების სისტემა, რომელიც გამოყენებულია დასახლებული პუნქტის ისეთ ადგილებში, სადაც არ დგას კონტეინერები ან ნაგვის ურნები. ამ

შემთხვევაში შეგროვების სიხშირე დაბალია და ნაგავმზიდი მანქანის ჩამოვლის დროს თუ მაცხოვრებლები სახლში არ იქნებიან, ნარჩენების შეგროვება ვერ ხერხდება. ასეთ შემთხვევაში დიდია ნარჩენების ქუჩებში, ან არალეგალურ ნაგავსაყრელებზე განთავსების აღბათობა.



სურათი 2. ნარჩენების კონტეინერი.



სურათი 3. ნარჩენების ბუნკერი ქალაქ რუსთავში.

ამასთან, ნარჩენების შეგროვების სიხშირე დამოკიდებულია წარმოქმნილი ნარჩენების რაოდენობაზე, ჩვეულებრივ გროვდება დღეში ერთხელ ან რამდენიმეჯერ.

ამასთან, ნარჩენების შეგროვებას ძირითადად ახორციელებენ საჯარო ოპერატორები: სახელმწიფოს/მუნიციპალიტეტის 100% ნილის მქონე შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებები (შპს) ან არაკომერციული (არამომგებიანი) იურიდიული პირები (ა(ა)იპ).

უმეტეს დიდ ქალაქებში მუნიციპალური ნარჩენების შეგროვება და ტრანსპორტირება შედარებით ახალი სატრანსპორტო საშუალებებითა და კონტეინერებით ხორციელდება. პატარა ქალაქებსა და სასოფლო დასახლებებში ნარჩენების ტრანსპორტირებას, ასეთის არსებობის შემთხვევაში, უზრუნველყოფენ მოძველებული სატრანსპორტო საშუალებებით. მიუხედავად იმისა, რომ განხორციელდა მუნიციპალიტეტების აღჭურვა კონტეინერებითა და ნაგავმზიდი მანქანებით, არსებული რაოდენობა სრულად ვერ უზრუნველყოფს სერვისის ხელმისაწვდომობას.

დღეისათვის, რეგიონებში სოფლად მცხოვრები მოსახლეობის დიდ ნაწილს დასუფთავების სერვისი არ მიენიდება. მოსახლეობა ნარჩენებს ყრის მიმდებარე ტერიტორიის ტერიტორიაზე, ხეობებში, მდინარის კალაპოტში და შესაბამისად წარმოქმნება ასობით არაკონტროლირებადი, სტიქიური ნაგავსაყრელი. მუნიციპალიტეტების უმრავლესობაში არ არსებობს ზუსტი ინფორმაცია ამ უკანონო ნაგავსაყრელების ტერიტორიის, იქ დაყრილი ნარჩენების ტიპებისა და რაოდენობების შესახებ.

სტიქიური ნაგავსაყრელები წარმოადგენს გარემოს დაბინძურების წყაროს. სოფლების მაცხოვრებელთა დიდი ნაწილი ვერ აცნობიერებს როგორი რისკის შემცველია მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების მდინარეების ნაპირებზე და ხევებში ჩაყრა, ან არასწორი მართვა (მაგალითად, ქიმიური გამხსნელების ყუთები, მცენარეების შესაწამლი ქიმიური ნივთიერებები და ა.შ). დღეისათვის ყველა დიდი და პატარა წყლის ობიექტი: მდინარე, ხევი, თუ ნა-

კადული, რომელიც გაივლის დასახლებულ პუნქტს, სადაც მდებარეობს სპონტანური ნაგავ-საყრელი, დაბინძურებულია ნიტრატებით, ნიტრიტებითა და სხვადასხვა ქიმიური ნივთიერებებით. შესაბამისად მაღალია ადამიანის ჯანმრთელობაზე უარყოფითი ზეგავლენის რისკი.

სტიქიური ნაგავსაყრელების დახურვა/რემედიაცია, ნარჩენების მართვის ეროვნული სტრატეგიის თანახმად, დაგეგმილია 2020 წლისთვის.

დღეისათვის, ფრაგმენტულად, პილოტირების დონეზე ხდება ნარჩენების სეპარაცია. შერეული მუნიციპალური ნარჩენი, მათ შორის, სახიფათო ნარჩენებიც (მაგ., სამედიცინო და სხვა სპეციფიკური ნარჩენები) კვლავ ხვდება ნაგავსაყრელებზე. თუმცა, 2019 წლიდან მუნიციპალიტეტებს ეკისრებათ საყოფაცხოვრებო ნარჩენების სეპარირებული შეგროვების/ტრანსპორტირების სისტემის ეტაპობრივი დანერგვის ვალდებულება.

დღეისათვის საქართველოში დაახლოებით 1 500 ათასი ტონა სახიფათო სამედიცინო ნარჩენი წარმოქმნება. სამედიცინო ნარჩენების მართვის პასუხისმგებლობა საკუთარ ტერიტორიაზე ეკისრებათ სამედიცინო დაწესებულებებს, რომლებიც ხელშეკრულებას აფორმებენ სამედიცინო ნარჩენების მართვის ოპერატორებთან.

არ არსებობს სრული მონაცემები წლიურად წარმოქმნილი სამედიცინო, ცხოველური და სხვა ზოგიერთი (მათ შორის, სპეციფიკური) ნარჩენის რაოდენობის შესახებ.

რაც შეეხება სახიფათო ნარჩენებს, ვადაგასული პესტიციდების რაოდენობა შეადგენს დაახლოებით 4 000 ტ, პოლიქლორირებული ბიფენილების რაოდენობა – 600 ტონას, ხოლო დარიშხანის შემცველი ნარჩენის დაახლოებითი რაოდენობაა 120 000 ტონა.

უცნობია ყოველწლიურად წარმოქმნილი სხვა სახის სახიფათო და სამრეწველო ნარჩენების რაოდენობა. თუმცა, კანონმდებლობის შესაბამისად ყველა მოქმედ საწარმოს, რომელიც წარმოქმნის კანონით დადგენილ ზღვრულ რაოდენობაზე მეტ ნარჩენს, დაევალა გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში ნარჩენების მართვის გეგმების წარდგენა და შეთანხმება. მონაცემები სავარაუდოდ აისახება ნარჩენების ერთიან მონაცემთა ბაზაში, რომელიც შემუშავების პროცესშია.

ნარჩენების მართვის სფეროში ალინიშნება კერძო სექტორის გარკვეული ჩართულობა, თუმცა საჯარო-კერძო პარტნიორობის (Public-Private Partnership) პოლიტიკა ჯერჯერობით ნათლად ჩამოყალიბებული არ არის.

## 2.2 ნაგავსაყრელები

როგორც უკვე აღინიშნა, დღეისათვის საქართველოში მოსახლეობიდან და კერძო სექტორიდან მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა ტრადიციულად ხორციელდება არსებულ ოფიციალურ მუნიციპალურ ნაგავსაყრელებზე, ყოველგვარი დახარისხების გარეშე. უახლოეს მომავალში ეს პრაქტიკა სავარაუდოდ შენარჩუნებული იქნება.

ამდენად, ნაგავსაყრელები გამოიყენება არა მხოლოდ შერეული მუნიციპალური ნარჩენების განსათავსებლად, არამედ კომერციული და სამრეწველო ნარჩენებისთვისაც იმ საწარმოებიდან, რომლებსაც არ გააჩნიათ საკუთარი დამუშავების ობიექტები.

ამასთან, არსებული 56 არასახიფათო ნარჩენების ნაგავსაყრელიდან მოქმედია 38. საერთო ჯამში ქვეყანაში ოპერირებს გარემოზე ზემოქმედების ნებართვის მქონე მხოლოდ 3 ნაგავ-საყრელი: რუსთავის, თბილისისა და კერძო ბრ-ს ნაგავსაყრელი.

ევროდირექტივების შესაბამისად, კანონმდებლობით განსაზღვრულია არსებული ნაგავ-საყრელების მოწესრიგება, მათი ეტაპობრივი დახურვა და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი რეგიონული არსახიფათო ნარჩენების ნაგავსაყრელების მშენებლობა წარმოადგენს. აღნიშნული ვალდებულებების შესრულება რეგიონებში წარმოადგენს SWMCG პასუხისმგებლობას. დღევანდელი მდგომარეობით დახურულია 13 და განახლებულია 28 ნაგავსაყრელი.

დაგეგმილია ახალი რეგიონული, ევროსტანდარტების შესაბამისი არასახიფათო ნარჩენების ნაგავსაყრელების აშენება იმერეთის რეგიონში (მოემსახურება რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონსაც) (დონორი: გერმანიის რეკონსტრუქციის ბანკი(KfW), განხორციელების ვადა 2015–2019), ქვემო ქართლში (2014-2018) და აჭარაში (2015-2018) (დონორი: ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი EBRD).

ამასთან, კახეთისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონებში KfW ახორციელებს წინას-ნარ ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევას ახალი რეგიონული ნაგავსაყრელებისა და სატრანს-ფერო სადგურების ტერიტორიების დადგენის მიზნით.

EBRD-მიერ გამოცხადდა ტექნიკური მცხეთა-მთიანეთის, შიდა ქართლისა და სამცხე-ჯავახ-ეთის რეგიონებში წინასწარი ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის ჩატარების შესახებ, რომლის შედეგების საფუძველზეც მოხდება ახალი რეგიონული ნაგავსაყრელებისა და გადამტვირთა-ვი სადგურების მშენებლობა აღნიშნულ რეგიონებში.

ასევე, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში მიმდინარეობს ახალი არსახიფათო ნარჩენების ნაგავსაყრელის მოწყობის (ნაგავსაყრელის მშენებლობის ნებართვა გაცემულია) და ძველი ნაგავსაყრელის დახურვის აქტიური სამუშაოები. მოცემულ რეგიონში ნაგავსაყრელების მოწყობა და მართვა აჭარის ა/რ-ის შესაბამისი სტრუქტურების კომპეტენციაა.

„ნარჩენების მართვის ეროვნული სტრატეგიის“ შესაბამისად, განსაზღვრულია არსებული ოფიციალური, მაგრამ უნებართვო ნაგავსაყრელების დახურვა 2023 წლისთვის, სტიქიური ნაგავსაყრელების დახურვა/რემედიაცია 2020 წლისთვის. სავარაუდოდ, საქართველოს მასშტა-ბით სულ იქნება 8-10 ევროსტანდარტების შესაბამისი არასახიფათო ნარჩენების ნაგავსაყრელი.

აღსანიშნავია, რომ დღეისათვის ქვეყანაში არ არის მოქმედი/ოფიციალური ინერტული და სახიფათო ნარჩენების ნაგავსაყრელი. ასევე, განუსაზღვრულია ცალკეული ტიპის ნარჩენების, როგორიცაა ინერტული და სახიფათო ნარჩენები, მართვაზე პასუხისმგებელი უწყება, რაც სფეროში პასუხისმგებლობებისა და ფუნქციების გადანაწილების რეალურ პრობლემას ქმნის.

## 2.3 მენიშვილების ნარჩენების შეაღგებლობა

მუნიციპალური ნარჩენები მოიცავს საყოფაცხოვრებო ნარჩენებს და, ასევე, სხვა ნარჩენებს, რომლებიც თავიანთი ბუნებისა და შემადგენლობის გამო, საყოფაცხოვრებო ნარჩენების იდენ-ტურია (ნმკ). იგი წარმოიქმნება მუნიციპალური ინფრასტრუქტურის ფარგლებში, შინამეურ-ნეობებში, ადმინისტრაციულ და საგანმანათლებლო ინსტიტუტებში, ტურისტულ დაწესებულე-ბებში, სავაჭრო ქსელებში, საზოგადოებრივ ადგილებში (მაგალითად, პარკები, საცხოვრებელი შენობის რეკონსტრუქციის შედეგად წარმოქმნილი სამშენებლო ნარჩენები და ა.შ.).

მუნიციპალური ნარჩენების შემადგენლობა ცვალებადია და დამოკიდებულია შემდეგ ფაქ-ტორებზე: მოსახლეობის ცხოვრების დონე, დასახლების ტიპი, მუნიციპალური ინფრასტრუქ-ტურის ხარისხი და ა.შ.


ოფიციალური სტატისტიკა საყოფაცხოვრებო ნარჩენების შემადგენლობისა და რაოდენო-ბის შესახებ ქვეყანაში არ მოიპოვება. საქართველოში მუნიციპალური ნარჩენების შემადგენ-ლობის შესახებ ინფორმაცია ემყარება მხოლოდ სხვადასხვა საერთაშორისო პროექტების ფარგლებში (თბილისში, ქვემო ქართლში, ქუთაისში, კახეთში და აჭარის ა/რ-ში) ჩატარებულ კვლევებსა, თუ ექსპერტულ შეფასებებს. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მუნიციპალური ნარ-ჩენების ზოგადი კომპოზიცია ამ რეგიონების შესაბამისად, მთელს საქართველოში ერთ-ნაირია. ექსპერტული შეფასებით, ქალაქებსა და რაიონებში მცხოვრები მოსახლეობის მიერ წარმოქმნილი ნარჩენები განსხვავებულია რაოდენობისა და შემადგენლობის მიხედვით და

მერყეობს 100-280 კგ /სულზე ნელინადში. ამასთან, ცხადია, ყველაზე დიდი რაოდენობით ნარჩენი წარმოიქმნება ერთ სულ მოსახლეზე დედაქალაქში.

საქართველოს ჩატარებული სხვადასხვა სახის შეფასებების საფუძველზე დადგინდა, რომ მუნიციპალური ნარჩენები ძირითადად შედგება საკვების და ბალის (~60%) (მათ შორის, საკვების ნარჩენები ~45%), ქაღალდის და მუყაოს (~12%), პლასტიკის (~14,6%), მინის (~2,7%) და მცირე რაოდენობით სახითათო ნარჩენებისგან (<1%).

ამასთან, ქვეყანაში არ არსებობს რაიმე შეფასება საყოფაცხოვრებო სახითათო ნარჩენების რაოდენობებისა და ტიპების შესახებ. საერთაშორისო გამოცდილების გათვალიწინებით შესაძლებელია ტიპიური სახითათო საყოფაცხოვრებო ნარჩენების იდენტიფიცირება: საღებავები და ლაქების ნარჩენები, მათთან დაკავშირებული პროდუქტები. მაგალითად, ორგანული გამხსნელები, გამათხელებლები, ფუნჯის გამწმენები, საღებავის მოსამორებლები; ალკალინები და გამწმენდი მჟავები (მაგალითად, ლაქების მოსამორებლები, მილების საწმენდები), ჟანგის მოსაცილებელი საშუალებები; პესტიციდები, როგორებიცაა: ფუნგიციდები, ჰერბიციდები, ინსექტიციდები; თაგვის წამალი; აეროზოლის ქილები, დაბინძურებული შესაფუთი მასალები; დამუშავებული ხე და ხის კონსერვანტები; ფლურესენტული ნათურები, ეკო-ნათურები, თერმომეტრები; ფოტო გამუღავნების სითხეები, ფირები; ვადაგასული ფარმაცევტული პროდუქტები; ბუნებრივი ან სინთეტიკური ზეთი, მაგალითად, ძრავის/ლუბრიკანტის ზეთები და მსგავსი პროდუქტები, როგორიცაა ზეთის ფილტრები; მანქანის აკუმულატორები, ვერცხლისწყლის ბატარეები, ლითიუმის ბატარეები, თუთიის კარბონატის ალკალინის ბატარეები; გადაგდებული ელექტრო/ელექტრონული მოწყობილობები როგორიცაა ტელევიზორი, კომპიუტერი, მობილური, ელექტრო საპარსი, მელნის კარტრიჯი, ტონერი; დაბინძურებული სამშენებლო ნარჩენები (აზბესტის ნარჩენები, კედლის ჩამონაფხევი და ა.შ.).

სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებულია შეგროვებული სახითათო საყოფაცხოვრებო ნარჩენების ოდენობა და უტოლდება 0.4-დან 2.0-მდე კგ/მოსახლეზე/წელიწადში, რაც საქართველოს მოსახლეობის გათვალისწინებით დაახლოებით უტოლდება 1600 ტ-დან 8000 ტ-მდე სახითათო საყოფაცხოვრებო ნარჩენის წარმოქმნას წლიურად. სავარაუდოდ, რეალური ოდენობა უფრო ახლოს იქნება დაბალ მაჩვენებელთან.



## 2.4 ნარჩენების პრევენცია, ხელახალი გამოყენება, რაციოლირება და აღდგენა

ნარჩენების პრევენცია, ხელახალი გამოყენება, რეციკლირება და აღდგენა ქვეყანაში ძალიან მცირე არის განვითარებული. პრაქტიკულად არ ხორციელდება ნარჩენების სეპარაცია, ფრაგმენტულად მიმდინარეობს ნარჩენების გადამუშავება და მეორადი გამოყენება.

საქართველოში საყოფაცხოვრებო ნარჩენების შემადგენლობაში წარმოდგენილია მნიშვნელოვანი რაოდენობით გადამუშავების პოტენციალის მქონე ფრაქციები – შუშა, პლასტიკი, ქაღალდი, ლითონი, ბიოდეგრადირებადი ნარჩენი, სამშენებლო ნარჩენი. ასევე ქვეყანაში წარმოიქმნება სპეციფიკური ნარჩენი, როგორიცაა შეფუთვის ნარჩენები, ზეთები, საბურავები, ძრავიანი სატრანსპორტო საშუალებები, ბატარეები, აკუმულატორები, ელექტრო- და ელექტრონული მოწყობილობები და სხვა).

საქართველოში ნარჩენების ხელახალი გამოყენება ლიმიტირებულია ფინანსური წახალისების მექანიზმების არარსებობის გამო და მხოლოდ ეხება ისეთ ნარჩენს, როგორიცაა შუშის ბოთლები.

ასევე, მხოლოდ ფრაგმენტულად ხორციელდება საყოფაცხოვრებო ნარჩენების რეციკლირებადი ფრაქციების სეპარირებული შეგროვება (პლასტიკის ბოთლები, ქაღალდის ნარჩენები). ამჟამად მხოლოდ ერთ ობიექტზე – რუსთავის ნაგავსაყრელის ტერიტორიაზე მდებარე სორტირების საწარმო – ხდება რეციკლირებადი მასალების მანუალური (ხელით) გამოცალევება შერეული მუნიციპალური ნარჩენებიდან ნაგავსაყრელზე განთავსებამდე. აღსანიშნავია, რომ შერეული ნარჩენებიდან სორტირებული რეციკლირებადი ნარჩენების ხარისხი საკმაოდ დაბალია.

ქვეყანაში ნარჩენების რეციკლირება ხორციელდება კერძო კომპანიების მიერ და მხოლოდ ისეთი ნარჩენების, რომელთა 1 ტონის შეგროვებისა და დამუშავების ღირებულება ნაკლებია ახალი ნედლეულის ღირებულებაზე.

სამრეწველო ობიექტებიდან ძირითადად ხდება ლითონის ჯართის, ქაღალდისა და შეფუთვის ნარჩენების, პლასტიკისა და მინის ნარჩენების შეგროვება მასალების აღდგენისა და რეციკლირების მიზნით. ამასთან, ქაღალდისა და მინის რეციკლირების ინფრასტრუქტურა შედარებით კარგადაა განვითარებული.

რეციკლირების საწარმოების მიერ შესყიდული ლითონის შემცველი ნარჩენის (ჯართი, ხმარებიდან ამოღებული სატრანსპორტო საშუალებები, ელექტრო მოწყობილობები) გადამუშავების/მართვის არსებული პრაქტიკა არ შეესაბამება ნარჩენების მართვის გარემოსდაცვით ნორმებს, რადგან ჯართის დილერები მთლიანი ჯართიდან არჩევენ მათთვის სასურველ ნაწილებს, ნარჩენების მორჩენილი ფრაქციები კი (რომელთა ნაწილი სახითათოა) იყრება.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში მცირე რაოდენობით ხდება ლითონის რეციკლირება, საზღვარგარეთ ლითონის ნარჩენების ბაზრის არსებობის გამო, ქვეყანაში არსებული რეციკლირების შეზღუდული შესაძლებლობა არ წარმოადგენს მეტალის ნარჩენების აღდგენის ხელისშემსლელ ფაქტორს. საქართველოში ოპერირებს რამოდენიმე საწარმო, სადაც ხდება აკუმულატორებიდან ტყვიის ამოღება.

პლასტიკის ნარჩენების აღდგენა ქვეყანაში ხორციელდება მცირე სიმძლავრის საწარმოებში. დღეისათვის, საქართველოში არ ხორციელდება პეტის ბოთლების რეციკლირება ან გრანულირება პალეტებად, რადგან მეწარმეებისათვის უფრო მომგებიანია პლასტიკის ნარჩენების დაპრესვა და ექსპორტირება უცხოეთში რეციკლირების მიზნით.

როგორც ზევით აღინიშნა, წარმოქმნილი საყოფაცხოვრებო ნარჩენების მნიშვნელოვან ნაწილს ორგანული ნარჩენი შეადგენს, თუმცა კომპოსტირება ფრაგმენტულად ხორციელდ-

ება მხოლოდ ცალკეული ფერმერების მიერ. კომპოსტირების პრაქტიკა შემოიფარგლება არა-ორგანიზებული კომპოსტირებით ოჯახებში და ღია მიწაყრილის მეთოდით კომპოსტირების რამოდენიმე საწარმოთი (მაგ. მარნეულში მდებარე საწარმო).

სამრეწველო ნარჩენები, ძირითადად, განთავსდება საწარმოების ტერიტორიაზე და მათ მახლობლად. ლიმიტრებული რაოდენობითაა სამრეწველო ნარჩენების დამამუშავებელი ობიექტები.

აღსანიშნავია, რომ რეგიონებში სადაც კარგად არის განვითარებული მეცხოველეობა (სამე-გრელო, აჭარა, სამცხე-ჯავახეთი, რაჭა) ზოგი ფერმერი საქონლის ნაკელის გამოყენებით აწარმოებს ბიოგაზს საკუთარი მოხმარებისათვის. ამასთან, ქვეყანაში არსებული მეცხოვე-ლეობის ნარჩენების ენერგეტიკული პოტენციალი არ არის ეფექტური გამოყენებული.

ამდენად, საქართველოში ფუნქციონირებს ნარჩენების გადამუშავების გარკვეული რაოდენობის ობიექტი. თუმცა დღემდე არ არსებობს ნარჩენებიდან ენერგიის აღდგენის საწარმო. ნარჩენების გადამამუშავებელი მოქმედი საწარმოების ნუსხა წარმოდგენილია წინამდებარე დოკუმენტის დანართის სახით.

### 3. ჩატარებული მიზანები

ადგილობრივი თვითმმართველობებმა/ადგილობრივმა ხელისუფლებამ ხელი უნდა შეუწყოს:

- ❖ **სოფლებში საოჯახო პირობებში მწვანე ნარჩენისა და ბიოდეგრადირებადი ნარჩენების (ორგანული ნარჩენების) შეგროვებისა და კომპოსტირების მეთოდის მოსახლეობისათვის სწავლების ორგანიზებას, აგრეთვე კომპოსტირების პრაქტიკის დანერგვას;**
- ❖ **მნიშვნელოვანია დეცენტრალიზებული კომპოსტირების განვითარება სასოფლო- სამეურნეო ადგილებში, სადაც არსებობს მოთხოვნა კომპოსტზე;**
- ❖ **სასოფლო-სამეურნეო ნარჩენების (მინდვრის ნარჩენები, ნაკელი და სხვ.) რაოდენობის შემცირებას. მაგალითად, ენერგორესურსად გამოყენების გზით (ბიოგაზი);**
- ❖ **სხვა/დანარჩენი საყოფაცხოვრებო ნარჩენის შეგროვებას (საერთო მოხმარების) სტანდარტის შესაბამის კონტეინერებში და მათი გადაზიდვა; ნარჩენების განთავსება გადამტვირთავ სადგურებში (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და/ან სანიტარულ ნაგავსაყრელებზე;**
- ❖ **ქალაქებსა და მუნიციპალურ ცენტრებში უნდა გაუქმდეს მაღალსართულიან შენობებში არსებული ნარჩენების შეგროვების ბუნკერების სისტემა;**
- ❖ **მაღალსართულიან შენობებში მაცხოვრებლები უზრუნველყოფილი უნდა იყვნენ ნარჩენების შეგროვების კონტეინერებით, რომლებიც განლაგდება არაუმეტეს 100 მეტრ მანძილზე მოსახლეობისგან;**
- ❖ **ადგილობრივი თვითმმართველობებმა/ადგილობრივმა ხელისუფლებამ ხელი უნდა შეუწყოს ნარჩენების წარმოქმნის წყაროზე დახარისხების პრაქტიკული განხორციელებას. დასაწყისისთვის, ორი ფერის ნარჩენების კონტეინერების გამოყენებით (სველი და მშრალი ფრაქციების განცალკევება);**
- ❖ **საყოფაცხოვრებო მყარი ნარჩენების შეგროვებას შერჩეულ ადგილებზე. პირველ ეტაპზე ბოდეგრადირებადი ნარჩენების შეგროვება ქალაქებსა და მუნიციპალურ ცენტრებში. ორგანიზებული იქნეს საზოგადოებრივი კვების ობიექტებიდან: რესტორნებიდან,**



კაფეებიდან და ა.შ.; სასტუმროებიდან, სახელმწიფო უნივერსიტებიდან, საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან, ოფისებიდან, სუპერმარკეტებიდან, ჰიპერმარკეტებიდან);

- ❖ ადგილობრივი თვითმმართველობებმა/ადგილობრივმა ხელისუფლებამ ხელი უნდა შეუწყოს მეორადი გადამუშავების საწარმოების ჩართულობას ნარჩენების მართვაში. ორგანიზება გაუკეთოს მეორადი/რეციკლირებას დაქვემდებარებული მასალების შეგროვებასა და რეციკლირება; მაგალითად, უზრუნველყოს დაინტერესებული მხარეების ინფორმირება და რეციკლირებადი ნარჩენების შეგროვება;
- ❖ კვირაში ერთხელ ქაღალდის ნარჩენების შეგროვება ორგანიზებული იქნეს სახელმწიფო უნივერსიტებიდან, საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან, ოფისებიდან, სუპერმარკეტებიდან, ჰიპერმარკეტებიდან და სხვა იურიდიული პირებიდან/ორგანიზაციებიდან;
- ❖ მგვ-ის ეტაპობრივი ჩამოყალიბებისა და დანერგვის მიზნით: მინის ნარჩენების შეგროვება საცხოვრებელის მიმდებარე ტერიტორიაზე განთავსებულ კონტეინერში, ან სუპერმარკეტებსა და ჰიპერმარკეტებში (სტიმულირების მექანიზმის გამოყენების საფუძველზე-მინის ტარის ღირებულების ანაზღაურება (refunding));
- ❖ რეციკლირების ღირებულების გაზრდის მიზნით პლასტიკის, მინის, ქაღალდის ნარჩენების ჩაბარების პუნქტების გახსნა და/ან სპეციალური შეგროვების სისტემის დანერგვა (მაგალითად, კონტეინერების სისტემა) რეციკლირებად ნარჩენებზე;
- ❖ პირობითად, კვირაში ერთხელ პლასტმასის პეტ ბოთლების ორგანიზებული, ხელმისაწვდომი შეგროვება;
- ❖ პირობითად, კვირაში ერთხელ ალუმინის ქილების შეგროვების უზრუნველყოფა;
- ❖ სამშენებლო ნარჩენების რეციკლირების დანერგვა – მათი გამოყენება გზების მშენებლობაში, ღრმულების ამოვსებისას, გამოყენება მეორად აგრეგატებად, ნარჩენების განთავსების ტერიტორიებზე საფარის მასალად და ა.შ.

- ❖ აქციის ”ცელოფნის პარკების თავისუფალი ზონა“ – განხორციელება, როდესაც ადგილობრივი ბიზნესის წარმომადგენლები ეკითხებინ მყიდველებს სურთ, თუ არა ერთჯერადი პარკი და თავაზობენ მრავალჯერადი გამოყენების პარკებს;
- ❖ დასუფთავების აქციების ორგანიზება ადგილობრივი თვითმართველობების წარმომადგენლებისა და მოსახლეობის ჩართულობით;
- ❖ წარჩენების პრევენციის, ხელახლი გამოყენების ხელშეწყობაზე მიმართული ტრენინგებისა და კამპანიების ორგანიზება საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით – საჯარო ორგანოების მიერ და კერძო სექტორის წახალისების გზით.

## დანართი

წარჩენების გადამამუშავებელი მოქმედი საწარმოები რეგიონების მიხედვით

ქვემო ქართლი			
საქმიანობის განხორციელებელი	საქმიანობის განხორციელების მისამართი	საქმიანობის სფერო	ნებართვით განხორციელებული საქმიანობა
შპს „მამული“	გარდაპნის რაიონი	გარდაბნის რაიონის რეგ. გამწმენდნაგებობაში დაფროვილი აქტიური ლამის შემდგომი მისი გამოყენება	ტოქსიკური და სახიფათო წარჩენების მართვა
სს „სარინი“	ქ. რუსთავი	ნავთობისა და ნავთობპროდუქტთა შემცველი წარჩენების წვით გაუვნებელყოფის დანადგარი	ტოქსიკური და სახიფათო წარჩენების მართვა/ ინსინერატორი
შპს „ალიანსი“	ქ. ბოლნისი	ნავთობისა და ნავთობის წარჩენების გადამუშავების დანადგარი	ტოქსიკური და სახიფათო წარჩენების მართვა
შპს „ამო კორპორაცია“	ქ. მარნეული	ქალაქ მარნეულში ნავთობაზის ტერიტორიაზე წავთობისა და ნავთობური წარჩენების გადამუშავება	ტოქსიკური და სახიფათო წარჩენების მართვა
შპს. თელეთ 2002	გარდაპნის რაიონი	ამორტიზებული მჟავა აკუმულატორებიდან ტყვიის ამოღების სამქრო	ტოქსიკური და სახიფათო წარჩენების მართვა/ აკუმულატორები
შპს სპი კაპაგ პეტროფაკ ინტერნეიშენალ	გარდაბანი	საყოფაცხოვრებო და სამეურნეო წარჩენებს დარიგებით დასაწყობება და წარჩენების დასაწვავ დანადგარი ინსინირატორის ფუნქციონირება	მყარი საყოფაცხოვრებო წარჩენების გადამუშავება
შპს .გარჩიანი2004	გარდაბანი	ამორტიზირებული უტილიზირებადი მჟავა აკუმულატორებიდან ტყვიის ამოღების საწარმო	ტოქსიკური და სახიფათო წარჩენების მართვა/ აკუმულატორები
შპს .ინტერპოლიმერი	რუსთავი	პოლიპროპილენის ნარჩენების გადამუშავება-რეგრანულაცია	მყარი საყოფაცხოვრებო წარჩენების გადამუშავება
სს „პეფულერ მეთალ დოქუმ სანა ვე თიჯარეთ“ (წარმომადგენლობა საქართველოში)	გარდაბანი	მეორადი ნედლეულის გადამუშავება(მორტიზებული აკუმულატორებიდან ამოღებული ტყვიის ჯართისაგან ტყვიის სხმულების წარმოება)	ტოქსიკური და სახიფათო წარჩენების მართვა/ აკუმულატორები

	შპს „GLW“	რუსთავი	ვადაგასული და მწყობრიდან გამოსული აკუმულატორების ტყვიის ჯართის და ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმო	ტოქსიკური და სახიფათო ნარჩენების მართვა/ აკუმულატორები
	შპს „სანიტარი“	რუსთავი	სახიფათო ნარჩენების დროებითი განთავსების ობიექტი	ტოქსიკური და სახიფათო ნარჩენების მართვა
	შპს „სანიტარი“	რუსთავი	საყოფაცხოვრებო ნარჩენების გადამუშავების (სევრეგაცია, მასერაცია, კომპოსტირება, ბრიკეტირება) ობიექტი	მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების გადამუშავება
	სს „კავკასიან ბეტკომპანი“	რუსთავი	პლასტიკური ნარჩენების (პეტი-პოლიეთოლენტერეფტელატი) გადამუშავება	მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების გადამუშავება
	შპს „ნიკა 2004“	რუსთავი	სახიფათო ნარჩენების გადამუშავება რუსთავში	ტოქსიკური და სახიფათო ნარჩენების მართვა
	შპს „საქ-ოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაცია“	გარდაბანი	სახიფათო ნარჩენების (აზბესტშემცველი და მინაბოჭქოს სამშენებლო ნარჩენები) სამარხის მოწყობა და ექსპლუატაცია გარდაბნის მუნიციპალიტეტში	ტოქსიკური და სახიფათო ნარჩენების მართვა
	რუსთავის მერია	რუსთავი	რუსთავის მუნიციპალური ნაგავასაყრელი	ნაგავსაყრელის მოწყობა
	შპს „ბიგ ბენი“	რუსთავი	სახიფათო ნარჩენების გადამამუშავებელი (პოლიპროპილენისა და პოლიეთოლენის ნარჩენების მეორადი გადამუშავებასა და შესაფუთი მასალების წარმოება) საწარმო	ტოქსიკური და სახიფათო ნარჩენების მართვა
	შპს „სანიტარი“	რუსთავი	სახიფათო ნარჩენების გაუენებლების (საწარმოო ქიმიური ნარჩენებს ნეიტრალუზაციისა და ნაფთბით დაბინძურებული ნიადაგების ბიორემედიაციის პოლიგონის მოწყობა)	ტოქსიკური და სახიფათო ნარჩენების მართვა
	შპს „სანიტარი“	გარდაბანი	სახიფათო ნარჩენების დროებითი განთავსებასა და გაუენებლების (ინსინერაციის) საწარმოს მშენებლობა და ექსპლუატაცია	ტოქსიკური და სახიფათო ნარჩენების მართვა/ ინსინერატორი
	შპს „GEOEKO OTTA“	მარნეული	სახიფათო ნარჩენების გადამუშავება (ნამუშევარი ზეთების რეგენერაცია)	ტოქსიკური და სახიფათო ნარჩენების მართვა
	შპს „გერო“	გარდაბანი	სახიფათო (ნავთობური) ნარჩენების გადამუშავების უბნის მოწყობა და ექსპლუატაცია	ტოქსიკური და სახიფათო ნარჩენების მართვა
	შპს „ეკომედი“	გარდაბანი	ნარჩენების განთავსება (სამედიცინო ნარჩენების საწვავი ღუმელის-ინსინერატორის მოწყობა და ექსპლუატაცია)	ტოქსიკური და სახიფათო ნარჩენების მართვა/ ინსინერატორი

	შპს „ჩირინა“	გარდაბანი	ნარჩენების განთავსება, გარდა არასახიფათო ნარჩენების წინასწარი დამუშავებისა (ცხოველური ნარჩენების ინსინირატორის ექსპლუატაცია)	ტოქსიკური და სახიფათო ნარჩენების მართვა/ინსინერატორი
	„N ELECTRIC CABLES“	გარდაბანი	ნარჩენების აღდგენა (რეზინტექნიკური და პოლიმერული მასალის გადამუშავება)	ნარჩენების აღდგენა
	შპს „ტომარა“		პლასტიკის გადამუშავება-დაქუცმაცება	უნდა გაიაროს ეკოლოგიური აუდიტი, შემდეგ გზე
<b>კახეთი</b>				
	შპს "ფრონტერა ისტერნ ჯორჯია	დედოფლისწყარო	ნავთობისა და გაზის ნარჩენების განთავსება XII ბლოკზე	ტოქსიკური და სახიფათო ნარჩენების მართვა
	შპს ნასადგომი	საგარეჭო	სამშენებლო აგურის წარმოების ბაზაზე ნაბური შელამების უტილიზაციისა და ნავთობით დაბინძურებული ნაადაგების ბიორემედიაციის გზშ ანგარიში	ტოქსიკური და სახიფათო ნარჩენების მართვა
<b>აჭარა</b>				
	თბილისი, მ. ასათიანის ქ. #9	ბათუმი	ბათუმის შავი ჭირისა და განსაკუთრებით საშიში ინფექციების სანინალმდეგო სამსახურის რეგიონული დღაგნოსტიკური ლაბორატორიის სამედიცინო ნარჩენების საწვავი ღუმელის (ინსინერატორის) მოყვობა და ექსპლუატაცია (სახიფათო ნარჩენების გაუვნებლება)	ტოქსიკური და სახიფათო ნარჩენების მართვა/ინსინერატორი
	შპს „ბათუმის ნავთობტერმინალი“	ბათუმი	სახიფათო ნარჩენების გადამუშავებისა და გაუვნებლობის (ნავთობშელამების უტილიზაციის და ნავთობით დაბინძურებული გრუნტის განმენდის ბაზის) მშენებლობა და ექსპლუატაცია	ტოქსიკური და სახიფათო ნარჩენების მართვა
	შპს „SUN H&H“	ბათუმი	სახიფათო ნარჩენების (მეორადი აკუმულატორები) გადამუშავება	ტოქსიკური და სახიფათო ნარჩენების მართვა/აკუმულატორები
	შპს „ზუგო“	ბათუმი	ნარჩენების აღდგენის, გარდა არასახიფათო ნარჩენების წინასწარი დამუშავების (პოლიეთილენის ნარჩენების გადამუშავება) საწარმოს ექსპლუატაცია	ნარჩენების აღდგენა
	შპს „სანდასუფთავება“	ხელვაჩაური	ბათუმის მერიის სამედიცინო-ბიოლოგიური მაღანეს ნარჩენების თერმოული გაუვნებელყოფის საწარმო (სახიფათო ნარჩენების გაუვნებლება)	ტოქსიკური და სახიფათო ნარჩენების მართვა/ინსინერატორი

	შპს „მაზო“	ხელვაჩაური	ტყველის სადნობი საამქრო	ტოქსიკური და სახიფათო ნარჩენების მართვა/ აკუმულატორები
<b>იმერეთი</b>				
	საზოგადოებრივი ჯანდაცვის იმერეთის სამსარეო ცენტრი	ქუთაისი	საზოგადოებრივი ჯანდაცვის იმერეთის ეპიდემიოლოგიური მონიტორინგის ცენტრის ნარჩენების უტილიზაციისათვის განკუთვნილი ინსინერატორი	ტოქსიკური და სახიფათო ნარჩენების მართვა/ ინსინერატორი
	შპს „დამაკო“	წყალტუბო	ნარჩენების აღდგენა (პლასტმასისა და რეზინტექსიკური ნაწარმის გადამუშავება)	ნარჩენების აღდგენა
	სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო	ქუთაისი	ნარჩენების განთავსების (დაავადებულ ცხოველთა ლემშს საწვავი ლუმელის (ინსინირატორის) სანარმოს მოწყობა და ექსპლუატაცია	ტოქსიკური და სახიფათო ნარჩენების მართვა/ ინსინერატორი
	ქუთაისის რეგიონალური ვეტერინარული ლაბორატორია	ქუთაისი	ქუთაისის რეგიონალურ ვეტერინალურ ლაბორატორიაში არსებული ეპიდემიოლოგიური მონიტორინგის სადგურის ნარჩენების უტილიზაციისათვის განკუთვნილი ლაბორატორიატორიული მინი ინსინერატორის დამონტაჟებისა და ოპერირების პროექტი	ტოქსიკური და სახიფათო ნარჩენების მართვა/ ინსინერატორი
	შპს „ეკომედი“	სამტრედია	სამედიცინო ნარჩენების (სახიფათო ნარჩენების) საწვავი ლუმელის (ინსინერატორის) მოწყობა და ექსპლუატაცია	ტოქსიკური და სახიფათო ნარჩენების მართვა/ ინსინერატორი
	ი/ქ გიორგი აფრიდონიძე		პლასტიკის გადამუშავება-დაჭუცმაცება	უნდა გაიაროს ეკოლოგიური აუდიტი, შემდეგ გზნ
<b>სამცხე-ჯავახეთი</b>				
	სსიპ „საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ახალციხის ვეტერინარული ლაბორატორიის ეპიდემიოლოგიური მონიტორინგის სადგური“	ახალციხე	ნარჩენების უტილიზაციისათვის განკუთვნილი ლაბორატორიული მინი ინსინერატორის დამონტაჟება და ოპერირება	ტოქსიკური და სახიფათო ნარჩენების მართვა/ ინსინერატორი
<b>სამეგრელო-ზემო სვანეთი</b>				
	შპს „ხიბლი“	ხობი	ნახმარი სალტეებიდან და ელასტომერული მასალების ნარჩენებდან ნახშირწყალბადების (მაზუთის) მიღების მინი დანადგარი	ტოქსიკური და სახიფათო ნარჩენების მართვა
	შპს „სანტინა“	ფოთი	ლიალური წყლების უტილიზაციის ობიექტის საქმიანობა	ტოქსიკური და სახიფათო ნარჩენების მართვა

	შპს „შავი ზღვის ტერმინალში“	ხობის რაიონის სოფ. ყულევი	შპს „შავი ზღვის ტერმინალში სახიფათო ნარჩენების დროებითი განთავსება“	ტოქსიკური და სახიფათო ნარჩენების მართვა
	შპს „ბილჯ-ვოტერ“	ხობი	სახიფათო ნარჩენების (ლიალური წყლების უტილიზაცია) გადამუშავება	ტოქსიკური და სახიფათო ნარჩენების მართვა
	შპს „ჩენელ ენერჯი (ფოთი) ლამითედ -საქართველო“	ფოთი	სახიფათო ნარჩენების განთავსება	ტოქსიკური და სახიფათო ნარჩენების მართვა
<b>შიდა ქართლი</b>				
	შპს „სააკაძე“	კასპი	ნახმარი სალტეებიდან და ელასტომერული მასალების ნარჩენებიდან ნახშირწყალბადების მიღების ქარხანა	ტოქსიკური და სახიფათო ნარჩენების მართვა
	შპს „მინა“		მინის გადამუშავება	უნდა გაიაროს ეკოლოგიური აუდიტი, შემდეგ გზა,
	შპს „ნეოპრინტი“		ქალალდის გადამუშავება-დაქუცმაცება	უნდა გაიაროს ეკოლოგიური აუდიტი, შემდეგ გზა,
<b>გურია</b>				
	შპს „სანიტარი“	გურია	ბთჯ მილსადენის მომსახურების პროცესში ნარმოქქნილი ნარჩენების უტილიზაცია	მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების გადამუშავება
<b>თბილისი 28 საწარმო</b>				
	შპს „ენვაირომენტალ ტექნოლოგიას“	თბილისი	ვეტერინარული დიაგნოსტიკისა და ექსპერტიზის ცენტრალური ლაბორატორიის ნარჩენების უტილიზაციისთვის განკუთვნილი მინი ინსინერატორი	ტოქსიკური და სახიფათო ნარჩენების მართვა/ინსინერატორი
	შპს „ენვაირომენტალ ტექნოლოგიას“	თბილისი	ბაქტერიოფაგის, მიკრობიოლოგისა და ვირუსოლოგიის ინსტიტუტის ნარჩენების უტილიზაციისთვის განკუთვნილი მინი ინსინერატორი	ტოქსიკური და სახიფათო ნარჩენების მართვა/ინსინერატორი
	შპს „ქიმიანი“	თბილისი	გაუვარგისებული სამედიცინო პრეპარატების, პესტიციდების და ნავთობური ნარჩენების განადგურების მინი დანადგარი	ტოქსიკური და სახიფათო ნარჩენების მართვა/აკუმულატორები
	შპს „ტერცია“	თბილისი	აკუმულატორების ჯართისა და ნარჩენების გადამუშავება	ტოქსიკური და სახიფათო ნარჩენების მართვა/აკუმულატორები
	შპს „ეკოთექი“	თბილისი	ნახმარი სალტეებიდან და ელასტომერული მასალის ნარჩენებიდან კერეკინგის ლუმელებში ნახშირწყალბადების (მაზუთის) მიღების მინი დანადგარი	ტოქსიკური და სახიფათო ნარჩენების მართვა
	სს „აკადემიკოს ო. ლუდუშეურის ეროვნული სამედიცინო ცენტრი“	თბილისი	ნარჩენების გაუვნებელყოფა ინსინერატორში	ტოქსიკური და სახიფათო ნარჩენების მართვა/ინსინერატორი
	შპს „დერინ მეტალ იმპექსი“	თბილისი	ტყვიის სადნობი საამქრო	ტოქსიკური და სახიფათო ნარჩენების მართვა/აკუმულატორები

	შპს „პლასტიკური ტექნოლოგია“	თბილისი	საწარმოო ნარჩენების გადამუშავებით პოლიეთილენტერეფტალატის მიღება	მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების გადამუშავება
	შპს „EPP+ მაიფერი“	თბილისი	ტყვიის ნარჩენების სადნობი საამქრო	ტოქსიკური და სახიფათო ნარჩენების მართვა/აკუმულატორები
	სსიპ „ლევან საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრი“.	თბილისი	ცენტრალური საცნობარო ლაბორატორიის და საცავის ნარჩენების საწვავი ლუმელის მოწყობა და ექსპლუატაცია	ტოქსიკური და სახიფათო ნარჩენების მართვა/აკუმულატორები
	შპს „ექსპრესდიაგნოსტიკა“	თბილისი	სახიფათო ნარჩენების გაუვნებლობა თბილისში	ტოქსიკური და სახიფათო ნარჩენების მართვა
	სსიპ „ლევან საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზ. ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი“	თბილისი	სახიფათო ნარჩენების გაუვნებლობა (სამედიცინო ნარჩენების საწვავი ლუმელის ექსპლუატაცია)	ტოქსიკური და სახიფათო ნარჩენების მართვა/ინსინერატორი
	შპს „გრავიტა ჯორჯია“	თბილისი	ვადაგასული და მწყობრიდან გამოსული ტყვიის აკუმულატორების ჯართისა და ნარჩენებს (პოლიეთილენის პოლიპროპილენის) გადამამუშავებელი საწარმო	ტოქსიკური და სახიფათო ნარჩენების მართვა/აკუმულატორები
	შპს „ეკო-სფერო“	თბილისი	რეზინტექნიკური ნაწარმის და პლასტმასის გადამუშავება	მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების გადამუშავება
	შპს „LMY“	თბილისი	საყოფაცხოვრებო ნარჩენების გადამამუშავებელი (პოლიეტილენტერფლუატატისა და პოლიპროპილენის ნაზმარი ბოთლების გადამუშავება) საწარმო	მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების გადამუშავება
	შპს „ექსპრეს დიაგნოსტიკა“	თბილისი	სახიფათო ნარჩენების გაუვნებლების (სამედიცინო ნარჩენების საწვავი ლუმელის-ინსინერატორი) საწარმოს მშენებლობა და ექსპლუატაცია	ტოქსიკური და სახიფათო ნარჩენების მართვა/ინსინერატორი
	შპს „DELTA“	თბილისი	სახიფათო ნარჩენების გადამამუშავებელი (რეზინტექნიკური ნაწარმის და პლასტმასის ნარჩენების გადამუშავება) საწარმოს მშენებლობა და ექსპლუატაცი	ტოქსიკური და სახიფათო ნარჩენების მართვა
	შპს „ეკოორგანიკალ კორპ“	თბილისი	სახიფათო ნარჩენების გადამუშავება (მწყობრიდან გამოსული სატლევების და რეზინის სხვა ნარჩენების გადამუშავება)	ტოქსიკური და სახიფათო ნარჩენების მართვა/ინსინერატორი
	შპს „მედიკალ საპორტენდ ტექნოლოგია“	თბილისი	ნარჩენების განთავსება (სამედიცინო ნარჩენების საწვავი ლუმელის-ინსინერატორის მოწყობა და ექსპლუატაცია	ტოქსიკური და სახიფათო ნარჩენების მართვა/ინსინერატორი
	შპს „მარტ გადამუშავება“	თბილისი	ნარჩენების აღდგენა, გარდა არსახიფათო ნარჩენების წინასწარი დამუშავების (აკუმლატორების ჯართისა და ნარჩენების გადამუშავების) საწარმოს ექსპლუატაცია	ნარჩენების აღდგენა

	ი/მ ბაირამ გულიევი	თბილისი	ნარჩენების აღდგენის, გარდა არასახიფათო ნარჩენების წინასწარი დამუშავების (ნარჩენი ზეთების რეციკლირება) საწარმოს ექსპლუატაცია	ნარჩენების აღდგენა
	შპს „საქ-ოს ქაღალდის წარმოება“	თბილისი	ქაღალდის შეგროვება-დაქუცმაცება	უნდა გაიაროს ეკოლოგიური აუდიტი, შემდეგ გზნ
	შპს „ecoland“	თბილისი	პლასტიკის გადამუშავება დაქუცმაცება, გადამუშავება	უნდა გაიაროს ეკოლოგიური აუდიტი, შემდეგ გზნ
	ლეგი ჯგუფი	თბილისი	ქაღალდის გადამუშავება/დაქუცმაცება	უნდა გაიაროს ეკოლოგიური აუდიტი, შემდეგ გზნ
	შპს „ქაღალდი+“	თბილისი	ქაღალდის გადამუშავება-დაქუცმაცება	უნდა გაიაროს კოლოგიური აუდიტი, შემდეგ გზნ
	შპს „საქ-ოს ქაღალდის წარმოება“	თბილისი	მუყაოს ყუთების დამზადება-დაქუცმაცება	უნდა გაიაროს ეკოლოგიური აუდიტი, შემდეგ გზნ
	შპს „ბი ჯი კომპანი“	თბილისი	ქაღალდის შეგროვება-დაქუცმაცება	უნდა გაიაროს ეკოლოგიური აუდიტი, შემდეგ გზნ
	შპს „საქ-ოს ნარჩენების მართვა“	თბილისი	ქაღალდის შეგროვება-დაქუცმაცება	უნდა გაიაროს ეკოლოგიური აუდიტი, შემდეგ გზნ
	შპს „ეკო ფეიფერი“	თბილისი	ქაღალდის გადამუშავება-დაქუცმაცება	უნდა გაიაროს ეკოლოგიური აუდიტი, შემდეგ გზნ

წყარო: გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო





გეოგრაფიულ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი  
ხათუნა ჩიკვილაძე

სარედაქციო კოლეგია:

დიზაინი:

მარიამ ქიმერიძე  
მანანა გიქოშვილი  
თამარ ტყაბლაძე



### პროექტი „დავასუფთაოთ საქართველო“ (ფაზა III)

ხორციელდება შვედეთის მთავრობის ფინანსური უზრუნველყოფით,  
საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს  
მხარდაჭერით, შ.კ.ს. „საქართველოს მყარი ნარჩენების  
მართვის კომპანიასთან“ თანამშრომლობით



შპს საქართველოს მყარი  
ნარჩენების მართვის კომპანია

